კავშირი სტუდენტების წარუმატებლობის შიშს, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორი

გვანცა ალთუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ალთუნაშვილი

19/06/2022

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია სტუდენტების წარუმატებლობის შიშს, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის კავშირის შესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120-მა სტუდენტმა (თბილისის მასშტაბით). წარუმატებლობის შიშის ზოგადი ქულის დასადგენად გამოყენებულ იქნა წარუმატებლობის შიშის სკალის გრძელი ვერსია_The Performance Failure Appraisal Inventory (Long-Form), ხოლო აკადემიური მოტივაციის საკვლევად გამოყენებულ იქნა აკადემიური მოტივაციის სკალა_The Academic Motivation Scale (AMS). შედეგებმა აჩვენა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირშია სტუდენტების აკადემიური მოსწრება, სტუდენტების აკადემიური მოტივაციის სამივე ფორმასთან, კერძოდ: შინაგან, გარეგან და ამოტივაციასთან. ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირია სტუდენტების ამოტივაციასა და წარუმატებლობის შიშის ერთ-ერთ ქვესკალას, კერძოდ, საკუთარი თვითშეფასების გაუფასურების შიშს შორის. ამავე ქვესკალასთან ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი იკვეთება სტუდენტების შინაგან აკადემიურ მოტივაციის შემთხვევაშიც. იმ განსხვავებით, რომ სტუდენტების შინაგან აკადემიურ მოტივაციასთან საკუთარი თვითშეფასების გაუფასურების შიშის ქვესკალასთან აქვს უარყოფითი კორელაცია, ხოლო ამოტივაციის შემთხვევაში დადებითი. შედეგების თანახმად, სტუდენტების სქესსა და აკადემიურ მოსწრებას შორის არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, რომლის თანახმადაც მდედრობითი სქესის სტუდენტების აკადემიური მოსწრება აღემატება მამრობითი სქესის სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას. რაც შეეხება სტუდენტების სქესსა და შინაგან აკადემიურ მოტივაციას, მათ შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, ამიტომ მონაცემები არ გვაძლევს იმის საშუალებას, ვთქვათ რომ მამრობითი სქესის შინაგანი აკადემიური მოტივაცია უფრო მაღალია, ვიდრე მდედრობითი სქესის შინაგანი აკადემიური მოტივაცია. შედეგებიდან გამომდინარე, მაგისტრი სტუდენტების შინაგანი აკადემიური მოტივაცია აღემატება ბაკალავრი სტუდენტების შინაგან აკადემიურ მოტივაციას.

მრავლობით რეგრესიამ აჩვენა, რომ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მნიშვნელოვანი პრედიქტორია როგორც შინაგანი აკადემიური მოტივაცია, ასევე სქესი.

საძიებო სიტყვები: წარუმატებლობის შიში, აკადემიური მოტივაცია, აკადემიური მოსწრება, მაგისტრი, ბაკალავრი, სქესი

Abstract

The main purpose of this study is to examine the relationship between students' fear of failure, academic motivation and academic achievement.The study participants included a total of 120 students (across Tbilisi) The Performance Failure Appraisal Inventory (Long-Form) was used to determine the overall score of the Fear of Failure, and The Academic Motivation Scale (AMS) was used to study academic motivation. The results showed that there is a statistically significant correlation between students 'academic achievement and all three forms of students' academic motivation, namely: internal, external and amotivation.Also, there is a statistically significant correlation between students 'amotivation and one of the subscales of fear of failure, namely, the fear of devaluation of one's self-esteem, which is also statistically significant in the case of students' internal academic motivation. The difference is that students' internal academic motivation correlates negatively with their own self-assessment impairment subscale, and positively correlates with amotivation.According to the results, there is a statistically significant relationship between student gender and academic achievement, according to which the academic achievement of female students exceeds the academic achievement of male students. As for students' gender and intrinsic academic motivation, there is no statistically significant relationship between them, so the data do not allow us to say that male intrinsic academic motivation is higher than female intrinsic academic motivation. Based on the results, the internal academic motivation of the master students exceeds the internal academic motivation of the undergraduates. Multiple regressions have shown that both internal academic motivation as well as gender are important predictors of students' academic achievement.

Key Words: Fear of failure, Academic motivation, Academic achievement,Master student, Undergraduate student, Gender.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია წერეთელს

ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში და აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩემთან.